ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ფრანკოფონიის საერთაშორისო სააგენტოს

მხარდაჭერით

2019 წლის 14-15 ნოემბერს

გიწვევთ მე- 2 საერთაშორისო კონფერენციაზე

„ლინგვისტიკა, ლიტერატურა, დიდაქტიკა“

თემატური სახელწოდებით

ფრანგული ფილოლოგია ღირებულებათა შექმნის

სამსახურში

ანოტაცია

დაგეგმილი შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ყურადღება გაამახვილონ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, მათ შორის ფრანგული ფილოლოგიის როლზე, მის მნიშვნელობაზე დღევანდელ სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში. კონფერენციის მიზანია, ხაზგასმით აღნიშნოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მნიშვნელობა კულტურული და სოციო-პოლიტიკური ინტეგრაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ევროპისკენ საქართველოს სწრაფვის გზაზე.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში მიმდინარე კვლევები, კერძოდ: ფრანგულის, როგორც უცხოური ენის სწავლების, შედარებითი გრამატიკის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის თეორიის, ენისა და ლიტერატურის ისტორიის, კომპარატისტული ლიტერატურის, ტრადუქტოლოგიის მიმართულებით გამოკვეთს ფრანგული ფილოლოგიის, როგორც ევროპულ საზოგადოებაში პარტნიორული ინტეგრაციის მედიატორის, ფასილიტატორის როლს. ფრანგული ფილოლოგიის სფეროში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობა ხაზს გაუსვამს მის მნიშვნელობას და უალტერნატივო მისიას, არამარტო არსებული ღირებულებების ურთიერთგაზიარების, არამედ საერთო ღირებულებათა შექმნის კუთხით. ფრანკოფონული თემატური ჩარჩო უფრო ვრცელ კონტექსტში მოიაზრება, რაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლებს ლინგვისტური, ლიტერატურული თუ დიდაქტიკური მიდგომის მიღმა, საკითხის განზოგადებულ ჭრილში წარმოჩენის შესაძლებლობასაც მისცემს.

კონფერენციის თემატიკა:

სექცია 1: ლინგვისტიკა

კონტრასტული და შედარებითი ლინგვისტიკის მიმართულებით მიმდინარე კვლევებზე პრიორიტეტულად ორიენტირებული ლინგვისტური სექცია მოიცავს აგრეთვე :

» ლინგვისტიკის საფუძვლებს(ფონეტიკა, მორფოსინტაქსი, სემანტიკა, ლექსიკოლოგია)
» ლინგვისტიკის შედარებით ახალ სფეროებს (ტექსტური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა)
» ენათა დიდაქტიკას (თანამედროვე მეთოდები და მიდგომები, მედიარესურსების გამოყენება სასწავლო პროგრამებში, თანამედროვე შეფასების სისტემები).

სექცია 2 : კომპარატისტული და ფრანგული ლიტერატურა

» საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები: მწერლის ბედი, წარმატებები, გავლენები :
» ლიტერატურა და ფერწერა: შემოქმედებითი დიალოგი ლიტერატურასა და მხატვრობას შორის.
» ფორმების და ენების ევოლუცია თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში.
» ლიტერატურული კრიტიკა: მისი როლი, მისი მნიშვნელობა;
» ლიტერატურული თარგმანის როლი უცხოური ლიტერატურის გავრცელებაში.

სექცია 3 : საერთაშორისო კონტექსტი

» ფრანგული ენა : აწმყო და მომავალი;
» ფრანგული ენისა და კულტურის როლი დღევანდელი საზოგადოების ფორმირების საქმეში;
» ფრანგული ენა-დიპლომატიის ენა.

სექცია 4 : ინდივიდუალური საინიციატივო კონტექსტი:

კონფერენციაში მონაწილეობის პირობები:

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ ანოტაცია 5 საკვანძო ერთეულის გამოკვეთით, ბიბლიოგრაფიული დანართის მითითებით. ანოტაციას თან უნდა ახლდეს: მომხსენებლის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი/წოდება, დამსაქმებელი ორგანო, საკონტაქტო ინფორმაცია.

- » შრიფტი Sylfaen ზომა 12
- » მოცულობა 2000-4000 ერთეული
- » ფორმატი A4, 2,54 cm
- » სათაურის შრიფტი - Sylfaen ზომა 14

  მოხსენებათა რეგლამენტი - მოხსენება -10 წუთი, მსჯელობა -5 წუთი

მნიშვნელოვანი თარიღები:

ანოტაციის წარმოდგენის ბოლო ვადა: ანოტაციები მიიღება 2019 წლის 10 სექტემბრამდე
შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Frenchtsu@gmail.com
საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოხსენების შერჩევის შემთხვევაში კანდიდატები შეტყობინებას მიიღებენ 2019 წლის 30 სექტემბრამდე.
კონფერენციის გამართვის თარიღი:
2019 წლის 14-15 ნოემბერი.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ფრანგული, ინგლისური. ქართულენოვანი მოხსენებების შემთხვევაში მონაწილეებმა ანოტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საერთაშორისო მონაწილეებმა ანოტაცია უნდა წარმოადგინონ ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

კონფერენციაში მონაწილეობის საფასური:

» ადგილობრივი მონაწილეებისთვის 100 ლარი;

» საერთაშორისო მონაწილეებისთვის 100 ევრო

» დოქტორანტები

- უფასო მონაწილეობა დისტანციური კონფერენციის ფორმატში
- 40 ევრო დასწრების შემთხვევაში.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართება ორი სემინარი ფრანგულ ენასა და ლიტერატურაში,რომელსაც გაუძღვებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. სემინარის ბოლოს გაიცემა სერტიფიკატები.

კომიტეტები:

საპატიო კომიტეტი:

გიორგი შარვაშიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ალექსანდრე ცისკარიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

სილვი ბოტევა - პროფესორი, რომანული ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სოფიას უნივერსიტეტი, ბულგარეთი.

მიშელა რადულესკუ - უცხო ენების დეპარტამენტის პროფესორი, ბუქარესტის ტექნიკური უნივერსიტეტი.

სამეცნიერო კომიტეტი:

სამეცნიერო კომიტეტის ხელმძღვანელი - ქეთევან გაბუნია,

რომანული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამეცნიერო კომიტეტის წევრები:

ნანა გუნცაძე - ასოცირებული პროფესორი , რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ციური ახვლედიანი- პროფესორ-ემერიტუსი, რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბელა ხაბეიშვილი - ასოცირებული პროფესორი , რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ილია გასვიანი - მოწვეული პროფესორი , რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გიორგი ეკიზაშვილი - პროფესორი, მთარგმნელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრა

საორგანიზაციო კომიტეტი:

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი - ბელა ხაბეიშვილი,
ასოცირებული პროფესორი , რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:

ნუნუ ოვსიანიკოვა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლაშა საღინაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე

ნანა გაფრინდაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან დოლიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი

ნინო ქავთარაძე - ასისტენტ პროფესორი, რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თამარ რუხაძე - მოწვეული პროფესორი, რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ია მანიჟაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, რომანული ფილოლოგიის კათედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ღარიბაშვილი - ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს თბილისის ფილიალის ხელმძღვანელი

გვანცა ჭანტურია - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

<u>კოორდინატორები:</u>

მაგდა უსტიაშვილი - რომანული ფილოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან ქუსიკაშვილი - რომანული ფილოლოგიის კათედრის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ყუფარაძე - ფილოლოგიის დოქტორი ,ენების შემსწავლელი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნინო რევაზიშვილი - რომანული ფილოლოგიის კათედრის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნათია ფაილოძე - რომანული ფილოლოგიის კათედრის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.